N610 2015 წლის 4 დეკემბერი ქ. თბილისი

**„სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 ნოემბრის №598 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1.** „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 ნოემბრის №598 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 02/12/2015, 300160070.10.003.018984) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ წესის მიზანია, საწარმოს მიერ ნედლი ნავთობის და/ან ნედლი ნავთობის ტრანსპორტირების/გადაზიდვის მომსახურების შესყიდვების,

მასთან დაკავშირებული სხვა შესყიდვებისა და ღონისძიების შეუფერხებლად განხორციელება.“.

2. მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენებით ხორციელდება ამ წესის №1 და №2 დანართებით განსაზღვრული საქონლის და/ან მომსახურების შესყიდვა.“.

3. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საწარმოს დირექტორთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ნედლი ნავთობის და/ან ნედლი ნავთობის ტრანსპორტირების/გადაზიდვის მომსახურების შესყიდვის თაობაზე, კონკრეტული შესყიდვის განხორციელებამდე, წერილობით უნდა შეთანხმდეს შემსყიდველი ორგანიზაციის მმართველ პირთან - საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთან, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას შესყიდვის საკითხთან დაკავშირებით.“.

4. ამ წესის დანართი №2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„დანართი №2**

**სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ შესასყიდი მომსახურების ჩამონათვალი**

| № | მომსახურების დასახელება |
|---|---|
| 1 | ნედლი ნავთობის გადაზიდვასთან/ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული მომსახურება |
| 2 | ნედლი ნავთობის გადაზიდვის მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა (სატერმინალო მომსახურება, |

| | |
|---|---|
| | გადამზიდავი ტექნიკის ქირავნობა, გზის მომსახურების გადასახადები და სხვა) |
| 3 | ნედლი ნავთობის გადაზიდვების მომსახურების გაწევისათვის საჭირო საერთაშორისო დაზღვევის მომსახურება, ჰეჯირება |
| 4 | ნედლი ნავთობის შესყიდვასთან და/ან გადაზიდვასთან/ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული და მისგან გამომდინარე საექსპერტო, საკონსულტაციო, აუდიტორული და იურიდიული მომსახურება |
| 5 | ნედლი ნავთობის შესყიდვასთან და/ან გადაზიდვასთან/ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საბანკო, საკრედიტო და სხვა საფინანსო დაწესებულებების მომსახურება |
| 6 | ნედლი ნავთობის შემდგომი რეალიზაციისთვის საჭირო მომსახურება, მათ შორის, საექსპერტო, საკონსულტაციო, აუდიტორული, იურიდიული და სხვა მომსახურება.“. |

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**